სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება ა(ა)იპ „საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციის“ მიერ წარმოდგენილ DIS180003046_01(SPA) საჩივართან დაკავშირებით

გადაწყვეტილება მიღებულია საბჭოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემადგენლობის მიერ

ქ. თბილისი 2018 წლის 4 აპრილი

საბჭოს შემადგენლობა:
ლევან რაზმაძე - საბჭოს თავმჯდომარე
კონსტანტინე გუგეშაშვილი - საბჭოს წევრი
ია შავერდოვი - საბჭოს წევრი
ლევან გაბრიჩიძე - საბჭოს წევრი (არ ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღების პროცესს)

სხდომის მდივანი: თეონა ჩხიკვაძე-გათიკაშვილი

საჩივრის ავტორი: ა(ა)იპ „საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაცია“ (ს/კ 404550543)
საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: გიორგი ბაჯელიძე, გიორგი ჭუმბურიძე, დიანა ველთაური და ეთერ ჭუმბურიძე

შემსყიდველი ორგანიზაცია, რომლის გადაწყვეტილებას/ქმედებასაც ეხება საჩივარი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი - იოსებ ოქრომელიძე და ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - გენო მათითაიშვილი

დავის საგანი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ „ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების“ სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული SPA180003046 ელექტრონული ტენდერი.

საჩივრის მოთხოვნა: „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიამ გადახედოს სატენდერო პირობებს, კერძოდ 2.2.1 მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ მთავრობის 2016 წლის №41 დადგენილებით და შეცვალოს სატენდერო პირობები.“

აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულმა დავების განხილვის საბჭომ (შემდგომში „საბჭო“) საქმეში არსებული მასალების შესწავლისა და ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

2018 წლის 21 მარტს დასაშვებად იქნა ცნობილი ა(ა)იპ „საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციის“ საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ „ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების“ სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ SPA180003046 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით.

მომჩივანი ორგანიზაცია:

მომჩივანი ორგანიზაციის წარმომადგენელი გამოცხადდა სხდომაზე, დაეთანხმა საჩივარში მითითებულ გარემოებებს და დაამატა: *„სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია, რომ პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების ცეცხლმაქრების გადამუხტვა/დამუხტვისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების გაწევის გამოცდილება და აღნიშნულის დამადასტურებლად სისტემაში უნდა ატვირთოს გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის და შესაბამისი მიღება/ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები, რომლითაც დადასტურდება რომ პრეტენდენტს აქვს ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება. როგორც ხედავთ, ტენდერის პირობებში ითხოვენ მხოლოდ კომპანიის გამოცდილებას. ჩვენ ვთვლით, რომ ეს მოთხოვნა არ არის საკმარისი და მივიჩნევთ, რომ შემსყიდველს დაწესებული უნდა ჰქონდეს სხვა დამატებითი კრიტერიუმები, რომელსაც ითვალისწინებს კანონი კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ამ დადგენილების 907-ე მუხლი არეგულირებს სახანძრო სიგნალიზაციის როგორც დაყენება დამონტაჟების, ისე შემდგომი მომსახურების პირობებს.*

ქვეთავში მითითებულია, რომ სახანძრო სიგნალიზაცია უნდა შეირჩეს და მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს NFPA72-კოდის მიხედვით, რაც გახლავთ ამერიკული სტანდარტი, მაგრამ ვინაიდან ეს სტანდარტი გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში, მას ენიჭება კანონის ძალა. აღნიშნული ნორმის მიხედვით აუცილებელია, რომ მოცემულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს ის კომპანია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სახანძრო სიგნალიზაციის ყოველთვიურ შემოწმებაზე.

პერსონალის გამოცდილება უნდა იყოს მისაღები საქართველოში მოქმედი ოფიციალური ორგანოს მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში მოქმედი ნორმების მონიტორინგზე ან უნდა აკმაყოფილებდეს 10.5.3.4 თავში მოცემული მოთხოვნებიდან ერთ-ერთს.

იქიდან გამომდინარე, რომ NFPA 72 საქართველოში ითვლება ნორმად და მის მიხედვით იმ კომპანიას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მსგავს სერვისზე, რაც შემსყიდველს აქვს მოთხოვნილი, უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან ერთერთს.

ვთვლით, რომ ამ ტენდერში აუცილებლად უნდა იყოს მოთხოვნილი არა მხოლოდ გამოცდილება, რაც შეიძლება მნიშვნელოვანია, მაგრამ ბოლომდე არ ამტკიცებს რომ კომპანია კვალიფიციურია, არამედ მოთხოვნილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული გარემოებები, რადგან ამის მოუთხოვნელობა შეიძლება ჩაითვალოს სამართალდარღვევად.

ჩვენი მიზანია ბოლომდე მივიყვანოთ ეს საქმე. დავების განხილვის საბჭოში არაერთხელ გვქონია საუბარი აღნიშნულ საკითხზე. გასაჩივრებული გვქონდა სატენდერო კომისიის გადაწვეტილება, რომელმაც არ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული კანონის ნორმა. დავების განხილვის საბჭომ გვირჩია, რომ კომისიის გადაწყვეტილება კი არა, თავად სატენდერო დოკუმენტაციის ჩანაწერი გაგვესაჩივრებინა, ანუ ჩანასახშივე დაგვეწყო პრობლემის აღმოფხვრა.

საერთოდ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ ძალიან ბევრს წაკითხულიც არ აქვს და ესეც ერთგვარი პრობლემაა. თვითონ ეს დადგენილება გადამისამართებას აკეთებს ამერიკულ NFPA-ზე, რომელიც ქართულად ნათარგმნი არ არის. ჩვენ უკვე NFPA-ის ოფიციალური წევრები ვართ და მოვიპოვეთ ნებართვა რათა გადაგვეთარგმნა აღნიშნული დოკუმენტი. ჩვენ დღევანდელ შეკრებას საჩივარი ჰქვია და სინამდვილეში ჩვენ აქ ვართ შემსყიდველი ორგანიზაციების დასახმარებლად.

მთავარი ის არის თუ ვინ უნდა დააყენოს სიგნალიზაცია და ვინ უნდა შეამოწმოს ის. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იყიდოს სიგნალიზაცია და დაამონტაჟოს კედელზე. ეს უნდა გააკეთოს კვალიფიციურმა კომპანიამ და არა ვიღაცამ. მსოფლიომ გაირა ეს ეტაპი. საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა გამოცდილება და მიიღო შესაბამისი ნორმატიული აქტი.

ჩვენ გვინდა დავეხმაროთ შემსყიდველ ორგანიზაციებს შეარჩიონ ისეთი კომპანიები, რომლებსაც აქვთ სერთიფიკატები და ჰყავთ დატრენინგებული პერსონალი.

თუ იმის გამო, რომ აღნიშნული პირობის არსებობის შემთხვევაში ტენდერში შემოვა მხოლოდ ორი კომპანია, კანონის ამ მოთხოვნას არ გავითვალისწინებთ, ჩვენ ქვეყანაში არასდროს გაჩნდებიან ისეთი კომპანიები, რომლებსაც ეს სერთიფიკატები ექნებათ. თუ შემსყიდველი ორგანიზაციები მსგავს მოთხოვნას დააწესებენ, დანარჩენი კომპანიებიც დაინახავენ რომ ხარისხზე უფრო მეტად უნდა იზრუნონ და კონკურენციაც გაიზრდება. კონკურენციის გაზრდა კი გამოიწვევს ხარისხის გაზრდას.

შემსყიდველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მათთვის ცნობილია კანონის შესახებ და იმის მოლოდინში არიან, რომ რომელიმე კომპანია აიღებს აღნიშნულ სერთიფიკატს და გამარჯვების შემთხვევაში კომპანიას სერთიფიკატების წარმოდგენას მოსთხოვენ. გამოდის, რომ მანამდე შემსყიდველი ორგანიზაცია კანონს არღვევს.

სერთიფიკატი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომ პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგი და კონკრეტული ტიპის აღჭურვილობის შემოწმება და მომსახურება შეუძლია.

ეკონომიკის სამინისტრომ შეისწავლა საკითხი, მოიკვლია ბაზარი და მათ დასკვნაში ნათქვამია, რომ საქართველოს ბაზარზე არის 6 თუ 7 კომპანია, რომელსაც აქვს ეს სერთიფიკატი და ჰყავთ დატრენინგებული პერსონალი.“

შემსყიდველი ორგანიზაცია:

შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი გამოცხადდა სხდომაზე, არ დაეთანხმა საჩივარში მითითებულ გარემოებებს და აღნიშნა: *„ჩვენ არ ვთვლით, რომ ზემოხსენებული ნორმის ჩაწერა სატენდერო დოკუმენტაციაში აუცილებელია, რადგან ეს კანონი ისედაც მოქმედი და სავალდებულოა ყველასთვის.*

ტენდერი გამოცხადებულია ტექნიკურ მომსახურებაზე, რომელიც ყოველთვიურად უნდა განხორციელდეს, შედგეს მიღება-ჩაბარების აქტი და გაკეთდეს ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა. ინსპექტირების ჯგუფი ვალდებულია ამ კანონის ნორმების დაცვით დაუდასტუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაო.

სატენდერო დოკუმენტაციაში ამ ჩანაწერის გაჩენით ვზღუდავთ სხვა კომპანიებს. მაგალითად, დღეს გამოვაცხადე ტენდერი და ამ პერიოდში რომელიმე კომპანიას პერსონალი გადის შესაბამის ტრენინგებს. გამოდის, რომ როდესაც კომპანია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდება, მას სერთიფიკატი ექნება. გაუგებარია ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცე.“

სამოტივაციო ნაწილი

საბჭო გაეცნო რა საჩივარს და მასთან დაკავშირებულ გარემოებებს, მხარეთა ახსნა–განმარტებებს, ასევე საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ საფუძველზე იღებს წინამდებარე გადაწყვეტილებას.

საბჭო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით *„სატენდერო კომისია, ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი.“*

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას, კანონმდებლობის ფარგლებში, შეუძლია თავად განსაზღვროს მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი და პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაცია.

საბჭო აღნიშნავს, რომ სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგენს სატენდერო განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის მიმართ სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი პირობები/მოთხოვნები, რომელთა სრულყოფილად დაკმაყოფილების შემთხვევაშიც პრეტენდენტთან ფორმდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შერჩევა/შეფასება არის ტენდერის მიმდინარეობის ეტაპი, რომლის დროსაც სატენდერო კომისია აფასებს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციას. კერძოდ, იმ საკითხს, თუ რამდენად შეესაბამება პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია შესაბამისი ტენდერის სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს.

ამავე წესის მიხედვით შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შეადგინოს სატენდერო კომისიის სხდომის შესაბამისი ოქმი, რომელშიც დაწვრილებით, დეტალურად იქნება ასახული სატენდერო კომისიის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება და მისი საფუძველი.

საბჭო აღნიშნავს, რომ ტენდერის მიმდინარეობის შერჩევა/შეფასების ეტაპზე შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ უნდა მიიღოს კონკრეტული ინფორმაცია პრეტენდენტის მიმართ სატენდერო კომისიის მიერ დადგენილ პირობებთან/მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საბჭო აღნიშნავს, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა შესაბამისი ტენდერის სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებთან უნდა დადგინდეს არა ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე ან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არამედ შერჩევა/შეფასების ეტაპზე.

SPA180003046 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტის მიხედვით *„პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების (ცეცხლმაქრების გადამუხტვა/დამუხტვისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების) გაწევის გამოცდილება და აღნიშნულის დამადასტურებლად სისტემაში უნდა ატვირთოს გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის და შესაბამისი მიღება/ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები, რომლითაც დადასტურდება რომ პრეტენდენტს აქვს ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება.“*

საბჭო ხაზს უსვამს მომჩივანი ორგანიზაციის შემდეგ პოზიციას, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ *„განსაზღვრავს შემმოწმებელ/მომსახურე პერსონალის, სისტემის გამტესტავი პირის მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ... ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ... პრეტენდენტს უნდა დაევალოს აღნიშნული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/სერთიფიკატების წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევა.“*

საბჭო აღნიშნავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების ჩამოყალიბებისას გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ მოთხოვნა უნდა იყოს კონკრეტული და არ უნდა უშვებდეს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში თუ გარკვეული საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით, ის მოქმედებს მიუხედავად იმისა აღნიშნულის შესახებ მითითებული იქნება თუ არა კონკრეტული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში. თუმცა, საბჭო რეკომენდაციას აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო დოკუმენტაციაში პრეტენდენტებს ინფორმაციის სახით მიუთითოს, თუ რომელი ნორმატიული აქტებით უნდა იხელმძღვანელონ.

საბჭო მიიჩნევს, რომ სატენდერო კომისიამ, უნდა იმსჯელოს იმ საკითხის შესახებ, თუ რამდენად გამართლებული და მიზანშეწონილია დასახული მიზნის მიღწევა სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტში მითითებული ჩანაწერის მხოლოდ ამ სახით ჩამოყალიბების გზით, ასევე უნდა იმსჯელოს იმ საკითხზე, თუ რამდენად უნდა გამოიყენოს პრეტენდენტთა შერჩევა/შეფასების ეტაპზე მან საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" და რის საფუძველზე და მხოლოდ აღნიშნულ საკითხის დეტალური განხილვის შედეგად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საბჭომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით და

გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ „საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციის" საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიამ გადასინჯოს 2018 წლის 16 მარტის სხდომის №1 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.
3. დაევალოს საბჭოს აპარატს წინამდებარე გადაწყვეტილების გამოქვეყნება ვებგვერდზე https://tenders.procurement.gov.ge/dispute, გადაწყვეტილების ხელმოწერისთანავე.
4. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, გადაწყვეტილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6 (საფოსტო ინდექსი – 0131).

ლევან რაზმაძე

კონსტანტინე გუგეშაშვილი

ია შავერდოვი